ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 20 მარტის რიგგარეშე

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დანტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №8

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 21 მარტი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეები:

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

პეტრე შარიქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი.

ჯაბა ბერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მ. ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების მოწონების შესახებ

მომხს: თემურ თაბუკაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე **მომხს: ჯაბა ბერაძე**

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგეულბაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე **მომხს: ჯაბა ბერაძე**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების მოწონების შესახებ, რომელმაც გააკეთა განმარტება, რომ სიტყვიერი მითითების საფუძველზე გვაქვს ინფორმაცია, რომ სტიქიის პრევენციის მიზნით გამოგვეყო 300 000 ლარი, ჩვენც შევარჩიეთ ყველაზე საშიში უბნები და წარმოგიდგინეთ მოსაწონებლად (თან ერთვის).

პ. გოგოლაძემ გამოთქვა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტების შერჩევა ხდება საკრებულოს წევრების ჩართულობის გარეშე და პირდაპირ ამოდის უკვე მერიის მიერ შერჩეული პროექტები მოსაწონებლად.

ვ. ჭიპაშვილი დაეთანხმა პ. გოგოლაძის ამ შენიშვნას და აღნიშნა,რომ პროექტების შერჩევა ხდება ჩვენი გვერდის ავლით და დააყენა საკითხი ბიუროს სხდომაზე მოწვეული იქნეს მერის პირველი მადგილე ა. მაღრაძე და გაგვცეს პასუხები კითხვებზე.

რ. გიორგაძემ მიუთითა მერიის წარმომადგენლებს და მოუწოდა ის მსჯელობა, რომელიც იმართება საკრებულოში ამა თუ იმ საკითხვის განხილვის დროს მიაწოდეთ მერს, რა მოხდება, რომ ამოვიდეს და პირდაპირ ვისაუბროთ.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგი პროექტებია , არც ერთს არ ვიწუნებთ, მაგრამ, მე ვეთანხმები ბიუროს წევრებს, რომლებიც აპროტესტებენ პროექტების შერჩევის პროცესში საკრებულოს წევრთა ჩაურთველობას.

ბიუროს სხდომაზე მერის პირველი მოადგილის არჩილ მაღრაძის შემოსვლის შემდეგ მის მიმართ დაისვა შეკითხვები:

მ. ბარბაქაძემ დასვა კითხვა ბორითში ანგარის უბანში ხიდის მშენებლობა 2018 წლის 15 ნოემბრამდე უნდა დამთავრებულიყო დღესაც არაა დასრულებული, ახლა 90 000 ლარს ამატებთ, როგორ ამთავრებდით ამ ხიდს და მეორე კითხვა, რატომ გრძელდება საკრებულოს წევრთა დისტანცირება მერიის მიერ, რატომ არ ხდება საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროექტების შერჩევაში.

ა. მაღრაძემ განმარტა, რომ ხიდის მშენებლობა მიდიოდა სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან, ტენდერი გამოცხადებულია, ზეპირ სიტყვიერად გვითხრეს, რომ გამოგვიყოფენ თანხას 300 000 ლარს, საიდანაც 90 000 ლარი მივმართეთ ანგარის ხიდზე. რაც შეეხება ინფორმირებას სხვადასხვა სტუმრებისა და გუბერნატორის სტუმრობის შესახებ მე პირადად გაგაფრთხილებთ, რომ 2 აპრილს ველოდებით სტუმრებს რკინიგზის დეპარტამენტიდან და მობრძანდით. რაც შეეხება პროექტების შეთანხმებას ამოტანილია საკრებულოს სხდომაზე მოსაწონებლად, საკრებულოს აქვს ნება მოიწონოს ან დაგვიბრუნოს ხარვეზებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 21 მარტის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით დაავალა ინფრასტრუქტურის კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის** თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 21 მარტის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით დაავალა ინფრასტრუქტურის კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგეულბაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს სტიქიის პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების მოწონების შესახებ

მომხს: თემურ თაბუკაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/43** განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ჯაბა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაული

დანართი N1

საპროექტო წინადადება

N	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება	მ.შ მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ თანადაფინანსება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის მოთხოვნილი თანხა	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნები
1	სოფელ ბორითში ანგარის უბნის ხიდის და გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა	90,000	90,000	0	2,160	მაისი-ოქტომბერი	
2	სოფელ ღორეშაში მდინარისაგან გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა;	60,000	60,000	0	1,440	მაისი-ოქტომბერი	
3	სოფელ ლეღვანში სახიდე გადასასვლელის და გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა	50,000	50,000	0	1,200	მაისი-ოქტომბერი	
4	სოფელ ვარძიაში სახიდე გადასასვლელი კონსტრუქციის მშენებლობა	50,000	50,000	0	1,200	მაისი-ოქტომბერი	
5	სოფელ ვანში მდინარისაგან გზის დამცავი კონსტრუქციის მშენებლობა	50,000	50,000	0	1,200	მაისი-ოქტომბერი	

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ: მანანა ბარბაქაძე